



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 10  
28/02/2020

10-09-4-202002281807



თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში  
ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის  
ადგილების გამოყოფის  
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

**მუხლი 1.** ქალაქ თელავის ცენტრალურ ქუჩებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის გამოიყოს შემდეგი ადგილები:

1. ერეკლე II-ის მოედანზე ჩრდილოეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთ მხარეების მთელი ტერიტორია, ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს სავალი ნაწილის პარალელურად, ხოლო აღმოსავლეთ მხარეს 90<sup>0</sup>-ით (ტაქსებისათვის ჩრდილოეთ მხარეს 30 მეტრიანი მონაკვეთი სავალი ნაწილის პარალელურად)
2. ერეკლე II-ის გამზირზე ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე, სავალი ნაწილის პარალელურად ვაჟა ფშაველას ქუჩის გადაკვეთამდე, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე 90<sup>0</sup>-ით. (ტაქსებისათვის სამხრეთ მხარეს 26 მაისის ქუჩის გადაკვეთიდან 30 მეტრიანი მონაკვეთი სავალი ნაწილის პარალელურად);
3. გ. ჩოხელის ქუჩის დასაწყისის ორივე მხარეს ცაბაძის ქუჩის გადაკვეთამდე სავალი ნაწილის პარალელურად. (ტაქსებისათვის აღმოსავლეთ მხარეს ქუჩის დასაწყისიდან 40 მეტრიანი მონაკვეთი სავალი ნაწილის პარალელურად);
4. სააკაძის ქუჩის აღმოსავლეთ მხარეს მთელ სიგრძეზე, სავალი ნაწილის პარალელურად ჭავჭავაძის გამზირის გადაკვეთამდე;
5. ნადიკვრის ქუჩის დასაწყისიდან 9 აპრილის ქუჩის გადაკვეთამდე ორივე მხარეს აიკრძალოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომა;

6. ჭავჭავაძის გამზირზე გამზირის დასაწყისიდან, საკოლმეურნეო ბაზრამდე, ორივე მხარეს, ჩრდილოეთ მხარეს საკოლმეურნეო ბაზრამდე სავალი ნაწილის პარალელურად, ხოლო სამხრეთ მხარეს ბაგრატიონის ქუჩის გადაკვეთამდე სავალი ნაწილის პარალელურად, ბაგრატიონის ქუჩის გადაკვეთიდან ჩრდილოეთ მხარეს საკოლმეურნეო ბაზრამდე 45<sup>0</sup> -ით (ტაქსებისათვის გამზირის დასაწყისში, ჩრდილოეთ მხარეს 30 მეტრიანი მონაკვეთი, სულ 60 კვმ სავალი ნაწილის პარალელურად);
7. ქეთევან წამებულის ქუჩის მარცხენა მხარეს მთელ სიგრძეზე(დასავლეთით) 45<sup>0</sup>-ით, ხოლო მარჯვენა მხარეს მთელ სიგრძეზე (აღმოსავლეთით) აიკრძალოს დგომა;
8. ვარდოშვილის ქუჩის მარცხენა მხარეს მთელ სიგრძეზე (დასავლეთით)45<sup>0</sup>-ით (ტაქსების გარდა), ხოლო მარჯვენა მხარეს მთელ სიგრძეზე (აღმოსავლეთით) აიკრძალოს დგომა;
9. რუსთაველის გამზირის დასაწყისში მარცხენა მხარეს (დასავლეთით)სავალი ნაწილის პარალელურად 80 მეტრიანი მონაკვეთი (ტაქსების გარდა), ხოლო აღმოსავლეთით ბატონის წყლის მიმდებარე ტერიტორიაზე;
10. ქართული უნივერსიტეტის ქუჩის, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ორივე მხარეს. მარცხენა მხარეს 90<sup>0</sup>-ით, ხოლო მარჯვენა მხარეს სავალი ნაწილის პარალელურად. (ტაქსებისათვის გამოიყოს ახვლედიანის ქუჩის დასასრულიდან დასავლეთ მხარეს 30 მეტრიანი მონაკვეთი სავალი ნაწილის პარალელურად);
11. ალადაშვილის ქუჩის ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე სავალი ნაწილის პარალელურად;
12. ალაზნის გამზირზე აღმაშენებლის ქუჩის კვეთიდან გამზირის ბოლომდე (აღმოსავლეთით) მარჯვენა მხარეს სავალი ნაწილის პარალელურად, ხოლო (დასავლეთით) მარცხენა მხარეს აიკრძალოს დგომა.
13. თეიმურაზ ბაგრატიონის ქუჩაზე, კიკვიძის ქუჩის გადაკვეთიდან ჭავჭავაძის გამზირის გადაკვეთამდე ორივე მხარეს სავალი ნაწილის პარალელურად, ხოლო ქუჩის დასაწყისიდან კიკვიძის ქუჩის გადაკვეთამდე ორივე მხარეს აიკრძალოს დგომა;
14. ვაჟა ფშაველას ქუჩაზე ფოსტის მიმდებარე ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის აღმოსავლეთ მხარეს 90<sup>0</sup>-ით ცალ მწკრივად (ტაქსების გარდა);
15. კოსტავას ქუჩაზე მარჯვენა მხარეს, (ჩრდილოეთით) დასაწყისიდან ხვთისმშობლის სახელობის ეკლესიამდე 45<sup>0</sup>-ით (ტაქსებისათვის ქუჩის მარცხენა მხარეს 9 აპრილის სკვერის დასავლეთით 12 მეტრიანი მონაკვეთი 90<sup>0</sup>-ით);
16. ჩოლოყაშვილის ქუჩის მარცხენა მხარეს (სამხრეთი) დასაწყისიდან ბოლომდე სავალი ნაწილის პარალელურად , ხოლო მარჯვენა მხარეს (ჩრდილოეთი) აიკრძალოს ავტომანქანების დგომა მთელს სიგრძეზე;

17. ჭადრის ქუჩის დასაწყისიდან 40 მეტრის მონაკვეთზე მარცხენა (ჩრდილოეთის) მხარეს სავალი ნაწილის პარალელურად (ტაქსების გარდა), ხოლო ქუჩის დანარჩენ ტერიტორიაზე აიკრძალოს დგომა.
18. ჭავჭავაძის გამზირის და ქეთევან წამებულის ქუჩის გადაკვეთაზე დასავლეთ მხარეს მოეწყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დგომის ადგილი სავალი ნაწილის სამხრეთით, ხოლო ჭავჭავაძის გამზირის და ვარდოშვილის ქუჩის გადაკვეთაზე (ჩრდილოეთით) სავალი ნაწილის პარალელურად მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის ადგილი 50 მეტრიან მონაკვეთზე.
19. სააკაძის ქუჩის და ჭავჭავაძის გამზირის გადაკვეთაზე აღმოსავლეთ მხარეს ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელიდან 10 მეტრის დაშორებით მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის ადგილი 90<sup>0</sup>-ით 80 მეტრიან მონაკვეთზე. აღნიშნული მონაკვეთის შუაში ორი ადგილი გამოიყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დგომისათვის. ხოლო ჭავჭავაძის გამზირის და ალაზნის გამზირის გადაკვეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 50 მეტრიანი მონაკვეთი მხოლოდ ტაქსებისათვის.
20. ალაზნის გამზირის დასაწყისიდან აღმოსავლეთ მხარეს ორ რიგად, მოძრაობის პარალელურად საკოლმეურნეო ბაზრის შესასვლელამდე მხოლოდ ტაქსებისათვის, ხოლო საკომლეურნეო ბაზრის შესასვლელიდან ავტოსადგურის ზედა შესასვლელამდე მოძრაობისდ პერპენდიკულარულად 90<sup>0</sup>-ით (გარდა ტაქსებისა). დილის 07:00სთ-დან - 22:00 სთ-მდე, 22:00სთ-დან - 07სთ-მდე კი აიკრძალოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომა.  
ავტოსადგურის ზედა შესასვლელიდან ქვედა შესასვლელამდე სავალი ნაწილის პარალელურად.  
ალაზნის გამზირის დასაწყისიდან დასავლეთ მხარეს, ლიბერთი ბანკის შესასვლელამდე აიკრძალოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომა. ხოლო ლიბერთი ბანკის შესასვლელიდან დ. აღმაშენებლის ქუჩის გადაკვეთამდე მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის ადგილი 45<sup>0</sup>-ით.
21. ნადიკვრის ქუჩაზე, 9 აპრილის ქუჩის გადაკვეთიდან 30 მეტრიანი მონაკვეთი სამხრეთ მხარეს 90<sup>0</sup>-ით. დანარჩენ მონაკვეთზე ლალიძის ქუჩის გადაკვეთამდე აიკრძალოს დგომა. ჩრდილოეთ მხარეს ბარნოვის ქუჩის დასაწყისამდე სავალი ნაწილის პარალელურად. ბარნოვის ქუჩის დასაწყისიდან რუსთაველის გამზირის გადაკვეთამდე დასავლეთ მხარეს სავალი ნაწილის პარალელურად.  
ნადიკვრის და რჩეულიშვილის ქუჩის გადაკვეთიდან ბარნოვის ქუჩამდე ჩრდილოეთ მხარეს სავალი ნაწილის პარალელურად.
22. არსენიშვილის ქუჩის და ბიბერახის ქუჩის გადაკვეთიდან სავალი ნაწილის ორივე მხარეს 40 მეტრიან მონაკვეთზე აიკრძალოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომა. ბიბერახის ქუჩის აღმოსავლეთ მხარეს (ნადიკვრის პარკის მიმდებარედ) 10 მეტრიანი მონაკვეთი პარკის შესასვლელიდან სამხრეთ

მხარეს 90<sup>0</sup>-ით, ხოლო 30 მეტრიანი მონაკვეთი სავალი ნაწილის პარალელურად.

**23.** აკრძალულია პარკირების საერთო ადგილებად განსაზღვრული იქნეს თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ორგანოების, სახელმწიფო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადგილსამყოფელი შენობა-ნაგებობების ძირითადი შესასვლელების უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიები. ასეთი ადგილები ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შესაბამისი ორგანოს (დაწესებულებების) მიერ, მხოლოდ სამსახურებრივი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის;

**მუხლი 2.** განკარგულების პირველი მუხლით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის, ქალაქის ტერიტორიაზე გამოყოფილ ყველა ადგილზე (გარდა ტაქსის) ერთი ადგილი გამოიყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ავტომობილებისათვის.

**მუხლი 3.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ნოემბრის N76 განკარგულება „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ“.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

**მუხლი 5.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ.№41), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

გიგა ორკოდაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

